

# მწევესი



მე ვარ მწევესი კეთილი: მწევესმან გეოღმან სული ღვისი  
აქსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედელი. ესრეთ იყოს სიხარული  
ათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მასურალნი და ტვირთ-მძიმენი  
და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 4

1883—1894

28 თებერვალი


შინაპარსი: ჩვენ მოძიეთა საეურადღობდ.—ჰედაგოგიკის ისტორიიდგან.—მარტვილის ტაძარი —გიორგი ევსევის  
ძე ერისთავი.—მცირე შენიშვნა.—ახალი ამბები და შენიშვნები.—თავისი თავ-ს მხილება და აღსარება ღირსისა მამისა ჩვე-  
ნისა ეფრემ ასურელისა.—სასარკველო ცოდნა, დარიგება მეფუტკრეობის დაწყებისათვის.—განცხადებანი.

## ჩვენ მოძიეთა საეურადღობდ.

ჩვენ გამოცემათა უმთავრესი დანიშნულება  
ისაა, რომ, შეძლებისა და გვარად, დავეხმაროთ  
ჩვენ მოძიეთა მათ დიდ მოვალეობათა აღსრუ-  
ლების საქმეში და ხელი შევუწუთ სარწმუ-  
ნოების და კეთილ-ხეობის განმტკიცებას ხალ-  
ხში. დადგა დიდმარხვა—დრო, როდესაც  
მწევესთა ეძლევათ უფრო მარჯვე დრო ქრის-

ტეს ენაში მუშაობისა და კეთილის თესლის  
თესვისა, ამისათვის ჩვენც მოვიტყვევით თქვენ-  
დამი, ჩვენსო მოძმენსო, რამდენიმე რჩევით  
და შენიშვნებით.

სარწმუნოებისადმი გულგრილობა და კე-  
თილ-ხეობის დამდაბლება ხალხში თითქმის  
უველასათვის შესამჩნევია ამ ბოლო დროს. ამ  
სამწუხარო მოვლენას ნიშნენ არა მარტო  
ღრმად მოხუცებულნი, არამედ ახალგაზდებიცა,  
ფარისეულობა, თვალთ-მაქცობა და არა ქრის-  
ტიანული საქციელი ღრმით იდგამს ფესვებს



ხალხში, სიტყვით ერთის თქმა, საქმით სულ სხვის აღსრულება, ძველი აღთქმისებური მოფესობა ჩვეულებრივი მოვლენა შეიქმნა ესლანდელს დროში. ამისათვის მთავრობაც და ის პირნიც, რომელთაც გული შესტკვიათ ხალხის კეთილ-დღეობისათვის, სამღვდლოებას ურჩევენ, რომ მან ყოველივე დონისძიება იხმაროს ხალხში კეთილ-ზნეობის და ქრისტიანული სარწმუნოების ასამაღლებლად. ამისათვის უბრძანებენ და ურჩევენ სამღვდლოებას, რომ მან თავის მხრით მიიღოს ყოველივე ზომა ამ საგნის შესახებ. პირველ სამუალებად ხალხში სარწმუნოებისა და კეთილ-ზნეობის ასამაღლებლად სამღვდლოებას ურჩევენ გამართონ ღვთის-მსახურების კარეშე საუბრები და კითხვები რელიგიურ საგნებზე, ასწავონ სამწესოთა ღვთის სჯული და მცნება.

აი, კიდევაც ვკითხულობთ ეპარქიალურ გამოცემებში, რომ მწუქმსნი ჯეროვანად ასრულებენ ბრძანებას. ივინი ესაუბრებიან სამწესოთა სარწმუნოებრივ-ზნეობრივ საგნებზე და ხსნიან სამკითხველოებს. დიდათ სასიამოვნოა ეველა ეს ცნობები, მაგრამ დაახლოვებით რომ გამოიკვლევთ საქმეს, მაშინ სულ სხვას დაინახავთ. ამას წინეთ ერთი პატრივცემული მწუქმსი შემოგვჩიოდა, რომ საუბრებზე ხალხი არ დაიარება ეკლესიაშია, და თუ მოვა ვინმე ლოცვაზე, დაიწეება თუ არა საუბარი ან კითხვა სარწმუნოების საგნების შესახებ, იგი მაშინვე კადის ეკლესიიდანაო. დიად, სწორეთ სამწესო მოვლენა ეს ჩვენს დროში. ალბათ ჩვენ მთავრობის წინადადებას ამ საგნის შესახებ ვასრულებთ მარტო ოფიციალურად, მარტო ოფიციალურად საქმის ასრულება, ხომ ვიცით,

რომ არ კმარა. ჩვენ დიდი უურადლება უნდა მივაქციოთ იმას, თუ რა სარგებლობა მოაქვს ხალხისათვის ჩვენს სიტყვა-ქადაგებას. მარტო თქმა როდის კმარა, თუ გავონებაც არ არის, და არის თუ არა გავონება და გავონილის მეთვისება, ეს შეუძლია მწუქმსმა სხვანაირად გამოიკვლიოს, სხვა რიგად შეიტყოს და შესაფერისი დონე იხმაროს მისგან დათესილი კეთილი თესლის აღმოსაცვენებლად მის სამწესოთა გულში.

უძთავრესად საჭირო არის, მწუქმსმა ჯეროვანი უურადლება მიაცციოს სარწმუნოებრივი და ზნეობრივი შინაარსის წიგნაკების გავრცელებას ხალხში. ამისთანა შინაარსის წიგნების გავრცელება ერთი-ორად და ერთი-ათად დაეხმარება მოძღვრისაგან დათესილი თესლის კეთილად აღმოცენებას. ძაღლობა დემეროსა, დღეს ამისთანა წიგნები ბევრი მოიპოვება. საჭიროა მხოლოდ მათი გავრცელება ხალხში.

სასინარულოდ უნდა ვაფუწუოთ ჩვენ მოძებთ, რომ მეორე გამოცემა ჩვენგან შედგენილი ლოცვანისა უევე გათავდა და ამ ლოცვანის შესამე გამოცემა დაწეებულია, რადგან ამ წიგნის მოპოების სურვილი ვრცელდება ხალხში, ჭეშმარიტად სასინარულო მოვლენა არის ეს ჩვენს დროში და ეველა ვაღდებული ვართ ხელი შევუწუოთ და დავეხმაროთ ამისთანა ხალხის კეთილ გრძნობას და სარწმუნოების კზაზე წინმსვლელობას...

დამ. დ. ლამ—ძე.

*Handwritten notes and bleed-through from the reverse side of the page.*

### ჰედაგოკიკის ისტორიიდან

ბავშვებას აღზრდა წამში

(გაგრძელება \*)

კვინტილიანე დაიბადა 42 წელს ქრისტეს შემდეგ ისპანიაში. იმის აზრით, ბავშვის აღზრდა უნდა დაწყებულ იქმნეს ბავშვობიდანვე. ბავშვს უნდა აურჩიონ კეთილ-გონიერი, წინდახედული და კეთილ-ზნობიანი ძიძა, მკოდნე სამშობლო ენისა. ბავშვის ბუნება სისწრაფით იღებს სხვა და სხვა შთაბეჭდილებათა და ამიტომ უნდა ვეცადოთ, მისთვის ასეთი ძიძა ამოვარჩიოთ; ცუდი, ზნეობით დაცემული ძიძა იქონიებს ბავშვის ნორჩს ბუნებაზედ არა საკეთილო გავლენას. კვინტილიანე იყო მოყვარული თავის დედა-ენისა, ესმოდა და გაეგებოდა კარგად ამ ენის დიდი მნიშვნელობა ბავშვის გონების განვითარების საქმეში. მართლაც, კვინტილიანეს დროს და უფრო წინათაც რომაელები ძლიერ იყენებდნენ გატაცებულნი ბერძნულის ენითა და მეცნიერებითა, ასე რომ თავის ღვიძლს დედა-ენას აბუჩად იგდებდნენ—კვინტილიანეს ესმოდა დიდი მანებლობა რომაელებისათვის ბერძნულის ენით ასეთი გატაცებისა. ამიტომაც ის გონიერულად ურჩევს რომაულს მშობლებს დაიჭირონ ბავშვისთვის დედა-ენის მკოდნე ძიძა და ტომით რომაელი და არა ბერძენი.

ძიძამ უნდა იცოდეს ზედ-მიწევნით სამშობლო ენა, უნდა მახედ წმინდად ლაპარაკობდეს, რომ ბავშვიც მისგან შეეჩვიოს ასეთსავე ლაპარაკსა. უცხო ენის შესწავლამდის—ბრძანებს კვინტილიანე—ბავშვისთვის აუცილებლად საჭიროა შესწავლა სამშობლო ენისა;—წინააღმდეგს შემთხვევაში ბავშვი მიიღებს ცალ-კერძო განათლებას და უდროვით შეეჩვევა უცხო, არა-მშობლიურს ხმებსა.

გარდა კაი ძიძისა ბავშვს უნდა აღმოუჩიონ კეთილ-ზნობიანი ამხანაგები და მეგობრები და უნდა მოარიდონ ცუდ-ზნობიანს ამხანაგებს და მეგობრებსა. ცუდს ამხანაგებს და მეგობრებს შეუძლიათ არა-

საკეთილოდ იმოქმედონ ბავშვზედ, «ამ მშობლებსა და მამულის საუკეთესო იმედზედ».

ბავშვი სათამაშოებით უნდა გართონ, —მათის შემწეობით თამაშდება, ვითარდება მისი ჭკუა-გონება და ცხადებიან მისნი მიღრეკილებანი. ბავშვს ერთ დროებითად უნდა ასწავლონ ასოს დაწერა და გამოთქმა. სასარგებლო არ არის მარტო ანბანის დაზეპირება, რადგანაც ამ შემთხვევაში სწავლებას არ ექნება თვალსაჩინო წასიათი. როცა ბავშვი შეითვისებს ასოების სახელსაც და მათს დაწერასაც, მაშინ უფრო კარგად შეიგნებს მისი ჭკუა-გონება, თუ როგორ შედგება მარცვლები ასოებისაგან. წინააღმდეგს შემთხვევაში ბავშვი ვერ შეეჩვევა თამაშს კითხვას, კითხვის დროს მას მაღი-მალ ენა ებორძიკება, იმეორებს ერთს და იმავე ასოს, მარცვალს, სიტყვას და სხე... მასწავლებელი სტდილობს შეაჩვიოს მოსწავლე ჩქარს კითხვას და ის კი აქვს დაეიწყებული, რომ ასეთი კითხვა შედეგია ანბანის გონიერულად შეწავლისა.

სწავლას უნდა იღებდეს ყოველი კაცი, რადგან ყოველს კაცს აქვს თანშობილი ნიჭი აზროვნებისა (мышление) და გონებითის მოქმედებისა «როგორც ფრინველს აქვს თანშობილი ნიჭი ფრენისა—ამაზს კვინტილიანე—ცხენს—სირბილისა, მტაცებელს ნადირს—მძებინეარებისა, ისე თითოეულს კაცს აქვს თანშობილი ნიჭი აზროვნებისა და გონებითის მოქმედებისა». კვინტილიანეს აზრით, ძალიან მცირეა უნიჭო ბავშვების რიცხვი. თუ ბავშვები არას სწავლობდნენ, ეს უმეტეს ნაწილად მასწავლებლის უფარგისობის ბრალია და არა შავიარდების უნიჭობისა. რომ მასწავლებელმა რიგიანად შეასრულოს თავის მოწოდება, მისთვის საჭიროა იცოდეს ინდივიდუალური თვისებანი ბავშვებისა. თითოეულს ბავშვს აქვს თვისი საკუთარი, ბუნების მიერ მოცემული, ტანის აგებულობა და სულის თვისებანი. ერთი ბავშვი იჩენს ნიჭს პოეზიაში, მეორე—ისტორიაში, ერთი მოსწავლისთვის წათამამებაა საჭირო, მეორეს სწყინს ბრძანებითი კილო მასწავლებლისა, ერთს სჩაგრავს შიში, მეორეს—აძლევეს მხნეობას, ერთნი გამუდმებულის შრომით სუსტებიან და მეორენი კი იძენენ შრომით სიმტკიცესა». ამიტომ მასწავლებელი ისე უნდა მოექცეს ბავშვს, როგორც მოითხოვს მისი ინდივიდუალური თვისებანი. ყოველს შემთხვევაში ბავშვი სხეულით არ უნდა

\*) იხ. «მწევესია» № 1, 1893 წ.

დასაჯონ, კვინტილიანე დიდი წინააღმდეგია სხეუ-  
ლით დასჯისა. სხეულის დასჯა ბავშვს კი არ ასწო-  
რებს, კი არ აუმჯობესებს, არამედ მასში ჰკლავს  
სირცხვილ ნამუსიანობის გრძობას და ხდის მას მო-  
შიშარს, მხდალს არსებად. კვინტილიანეს აზრით,  
სხეულს დასჯა შემოიღეს უნიკუ და უხვირო მას-  
წავლებლებმა, რომელთაც სწავლების საქმე არ ეს-  
მოდათ. ცუდი მასწავლებლები სხეულის დასჯით  
ჯაფრს იყრიან ბავშვად ცუდის სწავლისთვის და არ  
ესმით, რომ თვით არიან დანაშაულნი მის ასეთს  
სწავლაში. თუ სწავლების საქმე კარგად სწარმოებს,  
სხეულის დასჯა სრულიად მეტს ბარგად ჩნდება სკო-  
ლაში. მასწავლებელი შაგირდისთვის უნდა იყოს მა-  
მის მაგიერი და მათ შორის უნდა არსებობდეს მამა-  
შვილური ურთიერთობა. ის უნდა იყოს თავდაჭერი-  
ლი, დინჯი და არა სასტიკი, სამართლიანი, მხია-  
რული, მაგრამ არა ქარაფშუტა; მას თავგანწირულად  
უნდა უყვარდეს თავისი მოწაფეები. მასწავლებელი  
უნდა ელაპარაკებოდეს ბავშვს ზრდილობიანობაზედ,  
კეთილ-ზნობაზედ, უნდა ერიდებოდეს შაგირდის  
დაცინვას, გაქირვვას, დამცარებას და ყურადღებით  
ეპყრობოდეს მისს სხვა და სხვა საჭიროებათა. მასწავ-  
ლებელს არასოდეს არ უნდა მოუყიედეს გული, უნდა  
იყოს მშვიდი, წყნარი, მაგრამ არც უნდა ათამამებდეს  
ბავშვს სიცუღეში. ამიტომ კვინტილიანეს აზრით,  
საჭიროა მასწავლებელმა მიიღოს შესაფერი განათ-  
ლება, საფუძვლიანად შეისწავლოს ის საგნები, რომ-  
ლებიც მისს მომავალს მოღვაწეობას შეეხებიან.  
„ძლიერ სცდებიან ისინი, — ამბობს კვინტილიანე —  
რომელნიც ამბობენ, პატარა ბავშვებისთვის გამოდ-  
გებაო მცირე ნიჭის და ცოდნის პატრონი მასწავლე-  
ბელი. თუ პირველ-დაწყებითს განათლებას მივან-  
დობთ ცუდს მასწავლებელს, შემდეგში, როცა სწავ-  
ლას განაგრძობს ბავშვი, ბევრს ჯაფრს და დროს  
დავკარგავთ იმ შეცდომების გასასწორებლად, რომ-  
ლებიც მოუყიდა ცუდს მასწავლებელს». შემდეგ რი-  
გიანის შინაურის განათლების მიღებისა ბავშვი უნდა  
მისცენ სკოლაში. სკოლაში სწავლება მაღლა სდგას  
შინაურს სწავლებაზედ. სკოლაში ბავშვი ემზადება  
საზოგადოებრივის ცხოვრებისთვის; აქ მას უფითარ-  
დება გრძობა ერთობისა და ძმობისა.

კითხვის და წერის შესწავლას უნდა მოსდევდეს  
შესწავლა ლიტერატურულ ნაწარმოებთა მათის ში-  
ნაარსის, ენის და ფორმის მხრით. ასეთ ნაწარმოებში

დროსაც უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება  
ღრმა აზრებს, რომელნიც ხშირად არიან მათში გა-  
ტარებული. ლირიკულ ნაწარმოებთა კითხვა-შესწავ-  
ლის დროს უნდა ფრთხილად ვიქცეოდეთ, რადგან  
ბევრი მათგანი ზნეობის გაპრქენელი შხამით  
საესეა. განსაკუთრებით ბავშვებს ხელში არ უნდა  
მივცეთ ის ლექსები, რომლებშიაც გამოხატუ-  
ლია სიყვარულის მიერ გამოწვეული ტანჯვები.  
ძალიან სასარგებლოა მოსწავლეებს აკითხონ ამბები,  
მოთხრობები და ანეგდოტები ისტორიულის და ზნე-  
ობრივის შინაარსისა.

ილ. ფერაძე.

მარტვილის მონასტერი.

მარტვილის მონასტერი, რომელიც ერთი შე-  
სანიშნავ მონასტერთაგანია საქართველოში, მდებარეობს  
სამეგრელოში, ორ მდინარეთა აბაშასა და  
ტუბურს შუა. ქუთაისიდან მარტვილის მონასტერში  
გზა მიდის ჩრდილოეთ-დასავლეთისკენ და გაივლის  
ხონში. ხონიდან ამ მონასტერში მიმავალმა უნდა  
გაიაროს ცხენის-წყალი და შეუდგეს მაღალს სერს,  
რომლის ზემოდ გაშლილს ადგილზე აშენებულია  
ხსენებული მონასტერი. მონასტრის ეზოდამ, რომე-  
ლიც დაფარულია მუხის და ალვის ხეებით, მშენი-  
ერი სურათი ეხატება მნახველს. ამ სკრიდამ როგორც  
ხელის გულს ისე დაჩერებია კაცი მთელს იმერეთს  
და მეორეს მხრით აქედამ კაცი შენიერად ხედავს  
სურამის და ახალციხის მთებს, რომელიც ალაგ-ალაგ  
დაფარულია თოვლით. მონასტრის ეზოდამ კარგად  
მოჩანს ლეჩხუმის მთები და მათ უკან ამალღებული  
მთის ზურგი, რომელიც საზღვრავს ერთპანეთ შორის  
სადადიანო და თავისუფალს სვანეთს. ეს სურათი  
საუცხოვო შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე.

მარტვილის საკრებულო ტაძარი დიდი არ არის  
და შინაგანი მოწყობილობით წააგავს სიონის ტა-  
ძარს, რომელიც მდებარეობს ქართლში, ატენის ხე-  
ობაში. კარი ბჭე, რომელსაც აქვს ორი ეგუტერი  
მთავარანგელოზთა და მიძინებისა, მიშენებულია,  
როგორც სიანს, შემდეგ დროში და სასაფლაოს და-  
ნიშნულზეა აქვს; მესამე ეგუტერში, რომელიც აგე-



მარტვილის მონასტერი.

ბულია მიძინების სახელობაზედ, ტრაპეზის მახლობ-  
ლად, მღვდელ-მთავრის დასაჯდომელ ადგილთან,  
მოთავსებულია სალარო. უმთავრესი ტრაპეზი გაკე-  
თებულია მრამორისაგან და დამაგრებულია ხუთ  
სვეტზე. ეკკლესიიდან მარჯვნივ სერის ფერდობზე  
აშენებულია ძლიერ ძველის დროის კოშკი, რომე-  
ლიც ყოფილა მესვეტეთა სადგომა. აკადემიკოსის  
ბროსსეს სიტყვით მარტვილის ტაძარი ერთი საუკე-  
თესო ტაძართაგანი ყოფილა საქართველოში. ამას  
ამტკიცებს შენობის, ფანჯრების და კარების ჩუქურ-  
თმიანი გრეხილის ნაშთები, რომელნიც ხელოვნუ-  
რად არიან გაკეთებულნი. ეს ტაძარი, თუ ისე ძვე-  
ლია, როგორც მას ამტკიცებს ვახუშტი, რომელიც  
ამ ტაძრის აშენებას აწერს გიორგი II, რომელიც  
მეფობდა 921—955 წლებში, მაშინ გასაკვირველი  
არ იქნება, რომ ათი საუკუნის განმავლობას თავისი  
კვალი დაემჩნია ამ ტაძარზე. როგორც საქართველოს  
სხვა ეკკლესიები, ისე მარტვილის ტაძარიც დასახ-  
ჩირებულია შემდეგ დროში მაშენებული შენობებით.  
მეორე მეცნიერი ლიუბუა ამტკიცებს, რომ მარტვი-  
ლის ტაძარი აშენებულია კერპთ-თაყვანისმცემელთა  
ბომონის ადგილზედა და ამ ტაძრის ზოგიერთი საშე-  
ნებელი მასალა ნახმარია კერპთა ტაძრისაგანო. მარ-  
ტვილის ტაძარში კედლის მათერობაში მნახველი  
ყურადღებას იქცევს როგორც ვლახერნის ღვთის-  
მშობლის მხატვრობა მთავარ-ანგელოზებით, ისე

განსაკუთრებით სურათები მეფე კონსტანტინესი, ისე  
დადიანების ახალი გვარის დამაარსებლისა, როგორც  
წარწერისაგან სხანს, „ლეჩუმისა, საინარიძის და სა-  
ლიპარტიანოს მფლობელისა, ხელმწიფე — დადიანის  
ვეზირის, იმერეთის და ოდიშის უფროსის და მხე-  
დართ-მთავრის, კაცია ჩიქოვანის და მისი მეუღლი-  
სა... რომელიც იყო ქალი დიდისა... აგრეთვე მათი  
შვილების გიორგის, იოსების და ოტიასი... მარტ-  
ვილის ტაძრის ღვთის-მშობლის ხატებში, რომელ-  
ნიც ძვირფასად არიან მორთულნი, სამი შეწირულია  
ადგილობრივ მღვდელ-მთავრებისაგან ანუ ჭყონდიდ-  
ლებისაგან: ევდემონისაგან 1644 წ., გაბრიელისაგან  
მჭვიდმეტე საუკუნის დამლევს და გიორგისაგან 1839  
წ. ჭყონდიდლების სახელი აგრეთვე მოხსენებულია  
ეტრატზე დაწერილი სახარების ფურცელზე. დადა-  
ნებთაგან წარწერებში მოხსენებულია შერგილი და  
ლევან დიდი, რომელმაც 1662 წ. შესწირა მარტ-  
ვილის ტაძარს „ღვთის-მშობლის ხატი, შემკული  
მისგანვე ლალით და მარგალიტით საცხოვნებლად  
თავის მკუდლის ნესტან-დარეჯანისა, მისატყვევლად  
მისი ცოდვებისა და საცხოვნებლად თავის ძეთა ალექ-  
სანდრე და მანუჩარის და თავის ქალის ზილხანისა“.  
მარტვილის ტაძარი აგებულია ღვთის-მშობლის  
მიძინების სახელობაზე. სიტყვა მარტვილი წარმოსდ-  
გება ბერძნული სიტყვისაგან და ნიშნავს «მოწამეს».  
ძველის დროიდან ადგილობრივი მცხოვრებნი ამ ტა-

ძარს უწოდებენ ჭყონდიდს (დიდი მუხა). მარტვილის ტაძრის აშენებას აწერენ აფხაზეთის მეფეს გიორგის (921—956); ამ მეფემ დანიშნა აქ ეპისკოპოსის კათედრა. ჭყონდიდლები ისტორიული პირნი იყვნენ; ისინი განსაკუთრებით შესანიშნავნი იყვნენ აფხაზეთის და ქართლის ბაგრატიდების დროს. ჭყონდიდელს ირჩევდნენ ხოლმე იმ პირთაგან, რომელიც შესანიშნავნი იყვნენ როგორც სწავლით ისე მალაღობის ხნობით. ჭყონდიდელს ეკავა უმაღლესი ადგილი მეფის გვირგვინის კურთხევის დროს. ქართლის და ჭყონდიდელი ეპისკოპოსები სხდებოდნენ პირველ ადგილზე, სავარძლებში, ბალიშებზე, პირველი ქათალიკოსის მარჯვნივ და მეორე მარცხნივ. ჭყონდიდელი იყო მწერლების უფროსი. ამასთანავე იგი იყო მთავრელი ქერიეთა და ობოლთა, ტანჯულთა და დაჩაგრულთა. მათ შესახებ მხოლოდ ჭყონდიდელი მოახსენებდა ხოლმე მეფეს. იგი პირველი აღწობებდა ხოლმე მეფის ბრძანებას საერო და სასულიერო პირთ. როცა ჯარი გაელაშქრებოდა მტრის წინააღმდეგ, ჭყონდიდელი მიუძღოდა ჯარს წინ ჯვრით და ჩხუბის დაწყების წინ, აკურთხებდა ჯარს და შემდეგ ბრუნდებოდა უკანვე და უფროსობდა მეუკანავე ჯარს. ჩვენ ზემოთ მოვიხსენეთ, რომ დადიანების გვარის უკანასკნელი წინაპარი გამოხატულია მარტვილის ტაძარში, რომელიც იყო დადიანების გვართა სასაფლაო ადგილი. კაცია სტოპოვებდა იმერეთის მეფის ბაგრატი მეოთხის დროს, რომელიც მეფობდა 1669 წლიდან 1678 წლამდე და სამეგრელოს სუსტ მფლობელს ლევან მეოთხის დროს, რომელიც იყო სიძე ბაგრატი მეოთხისა და შვილის შვილი იასესი, შესანიშნავი ლევან დიდის ძმისა. ქართლის მატანე კაციას დაწინაურების შესახებ აი რას მოგვითხრობს: «იმ დროს (1676 წ.), როცა აფხაზები დაეცნენ ოდიშს (სამეგრელოს), ჭყონდიდელი ჩიქოვანი მომეტებული ძლიერი შეიქმნა. იგი დაუძვრა ხელიდან ეახტანგ მეფეს შულავერში და მან მიითვისა ჭყონდიდელის სახელი და მიიმხრო თავისკენ დადიანი. იმან მოუწოდა თავის ძმას კაციას და დაარწმუნა დადიანი, მიეცა მისთვის სალიბარტიანო იმ აზრით, რომ კაცია ამით გაუადვილებდა დადიანს ლეჩხუმის აღებას. კაცია იყო გორდის უბრალო აზნაური და მისი მამა თავის ზურგით ზიდავდა სევანეთში თავლს, ყიღდა და ამ სახით სჭამდა ლუკმა პურს. თავისი ძმის ჭყონდიდელის წყალობით კაცია შეიქმნა ფრიად

ძლიერი და პატივცემული მეფეებისაგან; იმას დიდი გავლენა ჰქონდა ლეჩხუმელებზე. ლევან დადიანმა, რომელმაც მისცა კაციას სალიბარტიანო, ძლიერ დაიხლოვა თავისთან კაცია, ეინაიდგან იგი იყო მამაცი, მომქმედი, და ამასთანავე უპატიოსნო და ბოროტი. იგი ურჩევდა დადიანს ამოეწყვიტა ოდიშის დიდი კაცები». კაცია კიდევ უფრო გაძლიერდა, როცა ჯვარი დაიწერა ჩაჭის ერისთავის შოშიტა მეორის ქალზე. ამ ძლიერების გამო კაციამ, ლევან დადიანის სიკედლის შემდეგ, რომელიც მოხდა 1694 წ., ხელში იგდო სამეგრელოს მმართველს. ლევანის ქერიემა მიიღო მოლოზნობა და რუსეთში გაჰყვა ქართლის მეფე ეახტანგ მეექვსეს, ხოლო ლევანის შვილი გიორგი რუსეთშივე თ.ნ გაჰყვა იმერეთის მეფე არჩილს.

ყველა ეს ცნობები ჩვენ ამოვსწერეთ «Кавказъ въ христіанскихъ памятниклахъ»-იდან. ჩვენის მხრით საჭიროდა ესთელით ამ ცნობებს დაუმატოთ შემდეგი: მარტვილის ტაძარი დიდის ხნიდან იყო კათედრა სამეგრელოს მღვდელ-მთავრების— ჭყონდიდებისა. ერთ დროს საჭიროდ დაინახეს სამეგრელოს ეპარქიის გაუქმება; ხსენებული ეპარქია მიაწერეს იმერეთის ეპარქიას, ხოლო მარტვილი დარჩა ქორ-ეპისკოპოსის კათედრად. 1885 წელს გურია-სამეგრელოს ეპარქია ხელახლად გადაკეთდა დამოუკიდებელ ეპარქიად. ამ ეპარქიების უფრო საშუალო ადგილად იცნეს ქ. ფოთი, რომელიც კიდევ დაინიშნა საკათედრო ადგილად გურია-სამეგრელოს ეპარქიის ეპისკოპოსისა, მარტვილი კი გადაკეთდა მონასტრად, რომლის წინამძღვრად ითვლება გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი. სამეგრელოს ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებელიც გადმოიტანეს მარტვილიდან ახალ-სენაკში. დღეს მონასტრამდის შეიძლება მიმოსვლა მშვენიერი გზ: ტკეცილით, რომელიც გაკეთებულია გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგოლის მეცადინეობით. მათი მეუფების მეცადინეობით მარტვილის მონასტერთან აგებულ იქმნა მშვენიერი სადგომები მონასტრის ძმათათვის, აქვე აგებულ იქმნა მშვენიერი ქვის შენობა საეკლესიო-სამრევლო ორკლასიანი სამაგალითო სკოლისათვის. ყოველად სამღვდლო გრიგოლის მეცადინეობით მონასტრის ძველი შენობები შეკეთებულ იქმნა. ასე რომ დღეს ხსენებული მონასტერი მათი მეუფების მეცადინეობით კიდევ უფრო აღიარებდას ახდენს მნახველზე.



### თავადი კოორგი ვესევის მე ერისთავი.

(დასასრული \*)

**შვიდი.** მამაო, ეგეცა ვსცან, გთხოვ მიბრძანოთ რამე მეორეთ მოსელის შესახებ.

**მამა.** შვილო, ჩენი სარწმუნოება საღმთო წერილი, ვითარცა საყვირი, სცემს, და წარმათნიცა თათარნი იტყვიან, რომ მეორეთ მოსელა იქმნებაო, მაგრამ რომელთაცა არა სწამთ, იმათ როგორ უნდა შეევაგონოთ და დაუმტკიცოთ. აი, შვილო, ქვეყანაზედ არა არს ხალხი, რომელიც ღმერთს თაყვანს არა სცემდეს, თუმცა კერპთ თაყვანსაცემს ველური ხალხი, მაგრამ ისინიც ღვთადაღვიარებენ, და გონებაში გამოხატული აქვთ, რომ ერთი ვინმე უნდა იყოს ცისა და ქვეყნის შემოქმედი, და ღმერთი ვითარი უნდა იყოს ყოვლისა შემძღებელი, ყოვლად მოწყალე, განუზომელისა სიყვარულისა მქონებელი, წინასწარ მცნობელი, და მცხიერების მქონებელი, აი ამ ლექსს თუ შევახებთ ოდესსა იყო ღმერთი, მაშინ გამოხატული ვიყავით დაუსაბამოთ, რომ შენ ჩემი შვილი იყავ, და მე შენი მამა, მესხიერებასა შინა დაუვიწყარი დაუსრულებელად ვიქმნებით, შენი სიყვარული, და ჩემი სიყვარული ერთი ცვარი არის, რომ შევასწოროთ ღვთის სიყვარულთანა, იმისი სიყვარული ოკიანეს ზღვაა, და ჩენი ერთი ცვარია. შვილო, შენ რომ შეგეძლოს, აღმადგენ თუ არა, ანუ მე რომ შემეძლოს, აღმადგენ თუ არა, ამაში იჭვი აღარ არის, აღმადგენ და აღმადგენ, და რადგან დაუსაბამოდ გამოხატული ვართ და დაუსრულებლად მცხიერებასა შინა დაუვიწყარნი, და იმისი სიყვარული ზღვა არის, მაშასადამე მამიყვანს და აღმადგენს; მაგრამ, შვილო, სიკვდილი ორ გვარია: პირველი სიკვდილი ისაა,

რომ ჩენი ხორცი და სხეული მიწადვე მიიქცევა, მეორე სიკვდილი არის, როდესაც აღმადგენს, მაშინ კეთილის მომქმედნი განსვენებასა მიეცემიან, ხოლო ბოროტის მომქმედნი საუკუნო ტანჯვასა და სიკვდილს მიეცემიან.


**შვიდი.** მამაო, მაგაზედ მეტი აღარა ითქმის რა, მაგრამ გთხოვ, რომ ესეც განმიმარტო: ხელმწიფე ანუ მთავარი ვითარი უნდა იყოს?

**მამა.** აი, შვილო, ხელმწიფე უნდა იყოს მსწავლელი, ქეშმარიტად მოსამართლე, მშვიდი, წყნარი და მოწყალე, და როდესაც რომ ღმერთი სწყალობს ხალხთა, ესე გვარსა ხელმწიფესა და მთავარსა დაუუდგენს; მაგრამ თუ ხელმწიფესა მინისტრნი არა ჰყვანან ქეშმარიტნი მსწავლენი მოსამართლენი და უქრთამონი, მაშინ ხელმწიფე განუსვენებლობაში იქმნება, ერთი გვამი სამოცს მილიონს ვერ მოუვლის უმინისტროთ. აი, შვილო, მაგალითს გეტყვი: სული არის ხელმწიფე, იმისი მინისტრი არის თვალი, ყური, ყნოსვა, გემოვნება და შეხება. თურომ თვალი კარგათ ვერ ხედავს, ყურს არ ესმის, ყნოსვა კეთილს სუნსა და ცუდს არ განარჩევს, გემოვნება სიმწარესა და სიტკბოს ვერ განარჩევს, ეგრეთვე შეხება, უამათოთ აბა სული როგორ განსჯის, რას წარმოადგენს, რას იმოქმედებს?..

**შვიდი.** მამაო, ეგ ყოველივე მოვისმინე, მიბრძანებ, რომ ცოლი შეირთეო, შვილი რომ მეყოლოს, როგორ უნდა აღვზარდო?

**მამა.** შვილო, ოდესაც გეყოლოს შვილი და შეიქმნას ოთხისა და ხუთის წლისა, და სცნას მშობელნი და მოკირანახულენი თვისი, მაშინ ის დილასა და საღამოს დააყენე და ალოცე. იმ ყრმასა ჩვეულებათ აღნაგებათ შეექმნება ღვთის სიყვარული, და ვისაც ღვთის სიყვარული აქვს, კეთილი კაცი იქმნება. შემდგომ რომ შეიქმნას შვილისა ანუ რეჟა წლისა, მაშინ ეცადე, რომ ასეთი მოძღვარი და ოსტატი უშოვნო, რომ მსწავლელი იყოს და კეთილის ქცევისა. თუ მასწავლებელნი ცუდნი იქმნებიან და ცუდის ქცე-

\*) იხ. „მწიგნობარი“-ს № 12, 1893 წ.



გიორგი გოგოლაშვილი

ვისანი, შენი შვილიც კუდის ყოფა-ქცევისა შეიქნება უთუოდ. შეილო, ოქრო გკონდეს თუ ვერცხლი, ყმა ანუ მამული, იმის სწავლაზედ შესწირე, როდესაც რომ ისწავლის, ერთი ათათ, ერთი ოცად შეგმატებს, უკეთუ მსწავლული იქნება, უკეთუ უსწავლელია, ბედნიერი იქნები, თუ არა და უბედობას მიეცემი. რაც რაზა გაქვს, მავასაც დაკარგავს, და შენც შეგა-  
 წუხებს, თუ უსწავლელი და უცნობი იქნება, იმისთანა შეილის ყოლას უყულობა სჯობია.  
 შეილო, ამაზედ მეტი სწავლა მე აღარვიცი რა, თუ რომ ბტკიცთ იქნები ამ ჩემს სწავლაზედ, მაშინ ბედნიერი იქნები, თუ არა და უბედობას მიეცემი. ღიღება შენდა, სულთა ყოვლად წმინდაო.

### მცირე შენიშვნა

ქუჩრნალი «კვალის» მე-2 №-ში დაბეჭდილია ბ. ხახანაშვილის წერილი «ახალი ქართული ლიტერატურის მოძრაობა 1821 წ.» ამ წერილში ბ. ხახანაშვილი ამბობს: „მწყემსი“ დაარსდა და გამოდის ყვირილაში 1886 წლიდან დეკ. დავით ღაზბაშიძის რედაქტორობით-თო.  
 ქუჩრნალი „მწყემსი“ დაარსდა 1883 წლიდან, ოქტომბრის თვიდან, ხოლო ამავე გაზეთის რუსული დამატება «Пастырь»-ი დაარსდა 1884 წლიდან, რედაქცია იმყოფება ყვირილაში და გაზეთი კი ქუთაისში გამოდის.

### ახალი ამბები და შენიშვნები.

კიდევ გავახსენებთ ჩვენს მკითხველებს მიაქციონ ყურადღება მთავრობის შემდეგ განკარგულებას:  
 მინისტრთა კომიტეტის დადგენილობის ძალით, რომელიც უმაღლესად დამტკიცებულია 13 ნოემბერს 1892 წ., უკანასკნელ ვადათ უწინდელი ფორმის სახელმწიფო კრედიტის ბილეთებისა 50 მ., 25 მ., 10 მ., 5 მ., 3 მ. და 1 მ. ღირსებისა, რომელნიც

გამოცემულნი არიან უმაღლესი უქაზის ძალით 13 თებერვალს 1868 წ., აგრეთვე 25 მ. ბილეთები, რომელნიც გამოცემულნი არიან უმაღლესი უქაზის ძალით 20 ოქტომბერს 1880 წ., დანიშნულია პრველი მათი 1894 წ.

ამ ვადის გათავებით შემდეგ კრედიტის ბილეთები უწინდელი ფორმისა არ მიღებიან სახელმწიფო გადასახადში და არც სავალდებულოა იხმარონ ისინი კერძო პირთა შორის.

ნიშნები კრედიტის ბილეთებისა, რომელთა გამოცემა და ხმარება აღკრძალული იქნება 1 მაისიდან 1894 წლისა:

- 1) გამოცემულნი უქაზისამებრ 13 თებ. 1868 წ. 50 მ. ღირს. სურათით იმპერატორი პეტრე 1-ისა. 25 » » » მეფე ალექსი მიხაილის ძისა. 10 » » » მეფე მიხაილ თეოდორეს ძისა. 5 » » » დიდის მთავრის დიმიტრი დონსკ. 3 » » » « რომელთა გამოსვლის წ. აღნიშნულია 1 » » » « სუა ადგილს ბილეთის უკანა პირზე.
- 2) გამოცემულნი უქაზისა მებრ 20 ოქტ. 1880 წ: 25 მანეთის ღირსებისა — თეთრი ფერისა, რომლის უკანა პირი სავა და არც ბეჭედი ასეია ზედ.



# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილჩინებაზედ.

თავისი თავის მხილება და აღსარება

წმიდათა შორის მამისა ჩვენისა

მურომ ასურელისა.

(რუსულიდან).

ძმანო, შემობრალეთ მე, რამეთუ «ძმა ძმი-საგან შეწევნილ იქნების, ვითარცა ქაფლაქი მტკიცე ზე მალაღი, ხოლო განაძლიერებს, ვითარცა საფუძველი სამეფო», ბრძანებს სადმართო წერილი (იგავი 18—18). და კვალად ბრძანებს: „აღუარებდეთ ურთიერთსა ცოდვასა, ზე ილოცვიდეთ ურთიერთისათვის, რათა განიკურნეთ». (იაკ. 5—16). აღრჩეულნო დვთისანო! შეიწყნარეთ კაცი იგი, რომელმაც აღუთქვა დმერთსა სათნო უოფა და მოაბრუნა შემოქმედი თვისი. მე ვარ ესრეთი ცოდვილი და ილოცეთ ჩემთვის, რათა დოცვიოთა თქვენითა ხსნილ ვიქმნე ცოდვათა ჩემთაგან და განკურნებულნი აღვსდგე ხრწნადის სარეცველისა ჩემისაგან. სიყრძით ჩემიდგან გამვდარვარ უსახმარისო ჭურჭლად: სხვათა ვარეგებ—არ სცოდონ და მე კი ორ ზომად შემცოდე ვარ. ვაიმე, რა სასჯელში შთავარდი, ვაიმე რა სირცხვილში ვარ გახვეული ზე უკეთუ მადე არ აღმობრწყინდა ჩემთვის უნვი მოწყალეობა დვთისა, აღარ მექნება არავითარი იმედი ცხოვნებისა! მე უბადრუკი ვადადავბ სიწმინდეზე, ვიქცევი უწმინდურად; ვადავბ არა გულისთქმაზე და გულის ჩემი კი გარემოცულ არს მრავალგვართა გულისთქმათაგან. რა სიბართლე უნდა მექმნეს, რა პირით უნდა ვჩვენო უფადსა, რომელმაც უწყის უოველნი დაფარულნი გულისა ჩემისანი? ძმანო, განმიზიარეთ დოცვიანნი თქვენნი, შემავედრეთ მრავალ მოწყალესა დმერთსა და დაატკბეთ ცოდვათაგან გამწარებულნი სული ჩემი. ვითარცა რტოთა

ჭეშმარიტისა ვენახისათა. მასვით მეცა მწყურვადსა წუარლისაგან ცხოვრებისა. დამაუნეთ გზასა ზედა ჭეშმარიტებისასა და წარმიძედვით სამეუფოის კარით, ვითარცა უძღვის მეუფე მონასა თვისსა. იქ... იქ გამოჩნდებიან ცხადნი და დაფარულნი ჩემნი. იქ შემაწუხებს მე სირცხვილი, მიხილვენ რა დასჯილსა კაცნი, რომელნიც მხადიან მე მართლად. მე ბეჩავმა! ავიდე ხელი სუდიერთა მოქმედებათა ზედა და დავემონე გულისთქმათა: არ მინდა ვისწავლო, არამედ შემორჩილებოდნენ. მძულს მუშაობა, მიუვარს სხვისი შრომა. არ მსურს ვისიმე პატივისცემა, მინდა, რომ მე მცემდნენ პატივსა. მძულს სხვისგან უვედრება და მე კი ვაუვედრი სხვასა. არა მსურს ვისიმე შეწყნარება, თვით კი ვეძიებ შეწყნარებასა. მიუვარს სხვისი მხილება და მძაგს მე იგი სხვისაგან. არ ვაქებ სხვასა, მინდა მაქებდნენ სხვანი. ვაიმე, რომ ცოდვამ არ დასტოვა განურწმუნელად არც ერთი ასოთა ჩემთაგანი! კარის წინ მიდგია სიკვდილი და არ მადონებს მე. გიცხადებთ რა უოველთა წყელულთა სულისა ჩემისათა, გლოცავ თქვენ, ნათლით მოსიღნო მამანო, არა უგულებელს მუოთ მე შეძრწუნებული და ევედროთ ჩემთვის მკურნაღსა: განკურნებისათვის სნეულისა, მწყემსსა—დამწყსად ცხოვარისა, მეფესა—განთავისუფლებისათვის ტყვეთასა, ცხოვრებასა—ცხოვრებისათვის მკვდრისა. ილოცვიდეთ, რათა დოცვიოთა თქვენითა ვედირსო კურნებასა და ცხოვრებასა ქრისტეს მიერ უეფლისა ჩვენისა იესო მრისტესსა. მზად ვარ მე წინააღმდეგ გულისთქმათა, გარნა ვიდრე მე მათ შევებრძოდე, ცბიერი ეშმაკი ასუსტებს სიმაგრესა სულისა ჩემისასა გემოს-მოყვარებათა ზე კვალადვე ვმთები ტყვედ ბოროტთა გულისთქმათა. ბრმა ვარ მე და ვაცდუნებ ბრმათა!

ამისათვის საჭირო არს ჩემთვის მრავალი დოცვა, რათა მოწყალეობან დვთისამან მომაშუქოს მე და განანათლოს დაბნელებული გული და გონება ჩემი. რამეთუ დოცვიოთა «უწვიმა მანანა საჭმელად ერსა თვისსა და პური ცათა მოსცა მათ და წვიმა მათ ზედა, ვითარცა წვიმა ხორცი ზე ვითარცა ქვიშა, მფრინველი ფრთოვანი» (ფს. 77—24, 27). დოცვიოთა აღმოუცენა კლდისაგან წუარონი წყურიღსა ერსა. აღრჩე-

უღონო დვთისანო, ადიდრას ჩემ ცოფვილსა ზედა მოწყალება დვთისა ღოცვითა თქვენითა. არა მაქვს კადნიერება წინაშე გუელთა მხილავისა. ვერვის ხელემწიფების განკურნებად უძღურებათა ჩემთა გარნა მხოლოდ მისა, რომელმაც უწყის სიღრმენი გუელისა ჩემისანი. რამდენჯერ განვიზრახე დამეფვა საზღვარი შორის ჩემსა და შორის იმა უსჯულო ცოდვათა, რომელნიც გამოდიოდნენ ჩემთან საბრძოლველად! გარნა აზრი ჩემი აბიქება საზღვარსა ღმ არღვივდა კედელთა მისთა, ვინაიდგან საზღვარი იგი არ იყო შეზღუდვილი მიშითა დვთისათა ღმ კედელნი მისნი არა დაშენებულ ჭეშმარიტსა სარწმუნოებასა ზედა. ამისათვის კვალად ვირეკ კარსა, რათა განმეღოს მე იგი და ვითარცა ურცხვი კვალად ვისწრაფი მოწყალებისადმი დვთისა. მაცხოვარო, შენ მანიჭებ მე ყოველსა კეთილსა და მე კი მოგაგებ ბოროტებით. სულგრძელო უფალო! იუპუნ მრავალ მოთმინებითა ჩემ გარყვნილსა ზედა და გვეფრები შეწყნარებასა. განმათავისუფლე ყოველთა ბოროტთა საქმეთაგან, სანამ არ მწევია დღე აფსასრულისა, რამეთუ «ჯოჯოხეთსა შინა ვინ აღვიაროს შენ?» ინსენ სული ჩემი მომავალისა შიშისაგან. განმისვეტაგე შებიფწული სამოსელი ჩემი უხვის მოწყალებითა შენითა, რათა მე უღირსი სამოსელითა სვეტაგითა ვეღირსო ზეცისა შენსა სასუფეველსა და მიწვენილმან ამა მოულოდნელისა სინარულისადმი ვსთქვა: დიდება მხსნელსა შემუსვრილისა სულისა ჩემისასა და დამამკვიდრებელისა მისსა სამოთხესა სინარულისასა, რამეთუ შენ ყოვლად წმიდასა ღმერთსა შვენის ყოველი დიდება, პატივი და თაყვანისცემა უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

მღვ. მახვილ გაგაშეჯგოვი.

## სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

### დარიგება მეფუტკრეობის დაწებისათვის (გაგრაქლება \*)

სკის მეორე ბოლოში ჩაუმატებენ ფუტკრის სიმრავლის მიხედვით სამიღამ ხუთამდის ჩარჩოს, რომელზედაც ფუტკრებმა უნდა ჩამოაშენონ ფიჭები. ამ ჩარჩოებს ერთად არ ჩააწყობენ, თითოს სდგმენ ორთაფლიან ფიჭის შუა. ფუტკრებს ძლიერ ეზარებათ ცარიელი ადგილი საცე ფიჭებს შორის და ცდილობენ გააფსონ. უკან თაფლის გადატანა მითაა კიდევ სასარგებლო, რომ ახალი ფუტკრები დაიწყებენ იქიღამ თაფლის გადატანას ბარტყებისათვის საკვების გასაკეთებლად ღელ-ნელა გადაიწვევიან იქსამუშევრად. ცარიელი ადგილი, რომელიც გადარჩება ბუდეა და თაფლის ფიჭებს შუა, უნდა ეგრეთვე აიფსონ უთაფლო, მაგრამ სრული ფიჭიანი ჩარჩოებით. ძალიან კარგია, სულ ყველა ერთად ჩააწყონ ჩარჩოები, რომლებზედაც ფუტკრებმა თითონ უნდა ჩამოაშენონ ფიჭები. ნაშინჯია, რომ როდესაც ბევრ ჩარჩოებზე დაიწყებენ მუშაობას ფუტკრები, უფრო ბევრს აკეთებენ, ვინემ თითო-თითოს ჩამატების დროს. ეს იმიტომ, რომ შენების დროს მუშაობენ ფუტკრების უმეტესი ნაწილი და თუ საკმარი საშენებელი ადგილი არ ექნათ, ტყუილად გაცდებიან.

ოც ჩარჩოიანი სკა, როდესაც თითოს აქვს რვა გოჯა სიგრძე—სიმაღლე, არ არის ძალიან დიდი კარგ თაფლიან ალაგებში; მაგრამ თუ ადგილი განსაკუთრებით ძალიან თაფლიანია, ოც-და-ოთხი და და ოც-და-ექვსი ჩარჩო სულ ყოველთვის დასჭირდება.

ზემოდ აღწერილი წესი მოსახდენია სუსტი სკებისათვისაც, მხოლოდ ჩარჩოების რიცხვი შემცირებული იქნება. გაზაფხულზე განხილვის დროს, თუ ფუტკრის ოჯახს აქვს დაბეჭდილი ბარტყებიანი ფიჭები ერთი მეორეზე გამბმული და არა არეულად (მაგალითად, ერთი ფიჭის თვალში კვერცხია, მეორეში

\*) იხ. «მწვემსა»-ს № 3, 1894 წ.

იქვე—გამოჩენილი მატლი, მესამეში დაბეჭდილი ბარტყი—პარკი, ან თაფლია, ეს სისუსტის ნიშანია) ამისთანა შემთხვევაში ცოტაც რომ იყოს მუშა ფუტკარი, მაინც საიმედოა. ზამთრისათვის თუ თითო სკას აქვს არა ნაკლები ოც-და-ათის—ორმოცი გირვანქისა, მეფუტკრე სრულიად უზრუნველ ყოფილი შეიქმნება შესახებ მათი საკვებისა. თაფლის ამოღების დროს უნდა მოისპოს სრულიად მონაერის ფიჭები, რომელნიც გადადნებიან სანთლად და გაიცილებიან ხელოვნურ ფიჭაში, თუ თვითონ არა გაქვსთ მათი საკეთებელი მანქანა.

**რამდენად სასარგებლოა ხელოვნური ფიჭა.**

თუმცა ფუტკრები უჩვენოდაც აკეთებენ ფიჭებს, მაგრამ მოხმარება ჩვენის მხრით დიდი სასარგებლოა.

როდესაც ფუტკრები თავის ნებაზე მუშაობენ, აგებენ მრავალ მონაერის ფიჭებს და მით გამოჰყავსთ ურიცხვი მუქთა მჭამლები; ისინი არ ფიქრობენ მოამზადონ თაფლისათვის ალაგი წინ-და-წინ და დაიწყებენ მუშაობას მაშინ, როდესაც თაფლი უნდა ზიდონ, ასე რომ ჰკარგენ უძვირუხასეს დროს; უადგილობრისა გამო დაცარიელებულ ბარტყების ბუდეებს გააფხებენ თაფლით და შესწყვეტენ ბარტყობას. ან და უადგილო ვიწროობისა გამო ნაყარი გაეფა სკილამ, რომელიც სასარგებლო არ არის.

როდესაც ხელოვნური ფიჭები წინ-და-წინვე აქვსთ ჩაწყობილი, ფუტკრები ასწორებენ და მეტის სიჩქარით აშენებენ (ასრულებენ); ხელოვნური ფიჭა წარმოგიდგენს ჩვენ მუშა ფუტკრის ფიჭების დასაწყისს და ამისათვის მონაერისას ველარ გააკეთებენ.

უკანასკნელი დასკვნა ლაიანის მეფუტკრობისა შემდეგია: რომ ერთსა და იმავე დროს მივიღოთ ჩვენ ცოტა ნაყრები, მრავალი თაფლი და ახალი სანთელი, აუცილებლად საჭიროა დიდი, სიგანეზედ დადგმული სკა, რომელიც ერთბაშად უნდა იტევდეს საჭირო ფიჭებს, რომ სივიწროვისა გამო დედოს კვერცხის დებაში ხელი არ შეეშალოს, საკმარისი უნდა იქნეს ფიჭები თაფლის შესანახად და, დაბოლოს, უნდა იქნეს ცარიელი ფიჭებიც, რომ ახალგაზდა ფუტკრებს შეეძლოსთ აშენონ ახალი ფიჭები, როდესაც ესაჭიროებათ და სურსთ.

**სუიდეა ფუტკრისა**

ფუტკარი შეგიძლიათ იყიდოთ თუნდ უბრალო კოდიტ ანუ რ ფით, თუნდ ნაყრით, უკანასკნელი უმჯობესაა.

**ნაყრის სუიდეა**

თუ გაქვსთ შემთხვევა იყიდოთ ახალი ნაყარი, რომელიც ჯერეთ არ ჩაუჯენიათ სკაში და მხოლოდ მიხევეულია რამეზე, ანუ სანაყრეშია ჩასმული, მაშინ მისი ჩაჯენა ჩარჩოიან სკაში ძალიან უბრალო საქმეა. ამისათვის საჭიროა ამოვაცრათ ჩარჩოებს ხელოვნური ფიჭა ანუ ნამდვილი ფიჭის ნაჭერი, თუ ეს არ არის, მაშინ სანთლას ლეწვით უნდა სწორი ხაზი გაველოთ ჩარჩოს თავი და შუაზე სწორედ და ჩაწყობოთ სკაში, არა ექვსზე მეტი რიცხვით. შემდეგ შემუშავთ შიგ ნაყარი თავის დედაიანა. დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ ნაყარი არ გაიქცევა. ნაყარი გაიქცევა მაშინ, თუ სკაში ცუდი რამე სუნი სდის ან თუ ნაყარი მეორე-მესამე პირია.

ნამდვილი ფიჭა შეგიძლიათ იშოვოთ მეფუტკრებიდამ, თუ თვითონ არ გექნებათ. ფიჭა არ უნდა იქნეს ძალიან ძველი და არც ძალიან ახალი. გადაბრუნეთ ჩარჩო პირშელმა, დაახლოთ გამდნარი სანთელი ძალდა თავზე შიგნიდგან (ახლა ის თავი ძირსა) და მაშინვე დაადგეთ ზედა; როდესაც სანთელი გაიცილება, ფიჭაც მიკრული იქნება და არ აჯგება გადმობრუნებაზე. ყუადეთ ჩარჩოზე ფიჭა სწორად დაეკრას, თელები, როგორც ბუნებითაა, ზვეით უნდა ჰქონდეს მიქცეული და არა ქვევით, თორემ თაფლი გამოიღვრება.

ამგვართვე მოვიქცევით ხელოვნური ფიჭის მიკერაზედაც, მხოლოდ დაესჭირთ მათ, თუ ფართებია. ერთის ანუ ორი გოჯის მეტი არ არის საჭირო თითო ჩარჩოზე.

**სუიდეა ფუტკრისა როფით ანუ კოდიტ**

როფით სუიდეა ფუტკრისა აღვილია, მაგრამ იქილამ ფუტკრის გადაყენა ძნელი ჩარჩოიან სკაში. გადაყენა ანუ გადადგნა ფუტკრისა მოხერხდება ბევრ ნაირად. ჩვენ ვურჩევთ იხპარონ შემდეგი, ძალიან გავრცელებული წესი.

გადასაყენად საჭიროა ყოველთვის იქონიოთ

ორი რაფი ღონიერი ფუტკრის ოჯახით; უნდა იქნეს მშვენიერი თფილი ღღე, ჩვენს მხარეში აპრილში და მაისში; ორი კაცი საჭიროა, დაიწყეთ მუშაობა არა აღრე თორმეტის საათისა დღისით.

ჯერეთ მოამზადეთ ჩარჩოიანი სკა, რომელშიაც უნდა გადაიყვანოთ ფუტკარი. თუ მოხერხდეს მოამზადეთ ჩარჩოები ნამდვილი ფიჭით საფე, თუ არა, სამი თუ მეტი ნახევრამდის მაინც ჩაკრული ხელოვნური ფიჭით.

შემდეგ დაინიშნეთ საფრენი თვალის სიმაღლე როფზე, სადაცა სდგას. გადაიტანეთ როფი სხვა ადგილას სადმე ჩრდილში ხუთმეტრი საფენის სიშორეზე; აქვე მოიტანეთ ჩარჩოიანი სკა. სადაც როფი იდგა, იქ დადგით ღროებით ცარიელი ყუთი მუშაობიდან დაბრუნებული ფუტკრებისათვის. თუ ასე არ ჰქენით, უკანასკნელნი დაიკარგებიან, ან სხვა სკებთან ჩხუბს გამართვენ.

როფი გაშალეთ რაზედმე მაღლად, უხრჩოლეთ კომლი და ძირიდგან მოაძვრეთ ძრო. თქვენ ძირიდგან დაინახეთ ჩამოკიდებულ ფიჭებს, თითქმის ცარიელს, რადგანაც ფუტკრები კომლისაგან შემავლული იქნება შენობის სათავეში. მიაჭერთ ჩამოდენიზე ფიჭები თავამდის. მუშა ფუტკრის ფიჭები ჩარჩოებში გაამაგრეთ ტყეჩებით, რომ არ გამოცვიდეს, მონაერის კი არ ეარგა. თუ ფუტკრის ბარტყები შეგხედეს, ისიც ჩააკარით. ხშირად მეფუტკრეს ამისთანა შემთხვევაში დასჭირდება პირზედ ჩამოსაფარებელი (პირბადე), რომელსაც ყველა თვითონ ადვილად გააკეთებს. იყიდეთ წმინდა რკინის საცერი პირის სახეს რომ ეყოს და გარეშემო ტილო შემოაკარით, რომ თავზე ჩამოიცვათ.

ამნირად გამართული ჩარჩოები ჩააწყეთ სკაში და დაახურეთ თავი, რომ ბარტყები არ გააციოთ. აგრეთვე მიადგით ძრო როფსაც, როგორადაც იყო. როდესაც გაათავებთ ამ მუშაობას, გადააბრუნეთ როფი ისე, რომ ფიჭები ზევით ექნეს აშვერილი, უხრჩოლეთ ცოტაოდენი და მერმე დაუწყეთ ნელნელა ორი ჯოხით რაკუნი. ერთ წამს რომ ურტყათ ჯოხი, ხუთ წამს შესჩერდით, რომ სამგზავროთ მოეწყონ ფუტკრები ე. ი. თაფლი მოიგროვონ ჩინჩახეში. შემდეგ დაიწყეთ ისევ რაკუნი და გააგრძელებთ 10 — 12 წამს. როდესაც ამას გაათავებთ, მოხსენით ძრო, რომელიც ეხლა მაღლა არის და დაინახეთ, რომ ფუტკრები ზევით მოგრავილან ერთად.

მაშინ ფრთხილად გადაიყვანეთ კოვზით ფუტკრები, რაც მოხერხდეს ჩარჩოიან სკაში და თვალი ადევნეთ დელოს.

სკის შესავალ თვალს მიუდგით ფიცარი და ზედ დააფინეთ ტილო. კოვზით დაჭარეთ ხოლომე ზედ ფუტკრები, რომლებიც ცხერებივით გაეშურებიან თელისაკენ. ამ დროს დელოს დანახვა ძნელი არ არის. თუ არ გამოჩნდა დელო, ისევ იმ წესზე უნდა დაუწყოთ რაკუნი და რამდენადაც შესაძლოა სულ გამოდნოთ ფუტკრები, სანამ დელოს არ ნახავთ.

როდესაც დელო ნახულია და ჩამომსდარი ჩარჩოიან სკაში, როდესაც მასთან გადაყვანილია უმრავლესი ნაწილი ფუტკრისა, მაშინ დახურეთ სკა და გადაიტანეთ იმ ადგილს, სადაც ღროებით დასდგით ცარიელი. ამასთანავე საფრენიც იმ სიმაღლეზე დაუტანეთ, რამოდენ ზედაც როფს ჰქონდა. თუ სხვანირად დასდგით სკა, ფუტკრები დიდხანს იწვალებენ და ვერ მიავნებენ თავის ბინას. ცარიელ სკაში შესრული ფუტკარი უნდა ჩაჭაროთ ჩარჩოიანში.

როფი, რომლიდგანაც ფუტკრები გადმოდენთ, წაიღეთ და დასდგით მეორე ღონიერი როფის ადგილას; ეს უკანასკნელი სხვა ადგილას დასდგით, გაამაგრეთ კარგად და მიეცით ფუტკრებს წყალი.

რა მოხდება ამგვარი ადგილის შეცვლით? — ჩარჩოიან სკაში იქნება დელო, ახალგაზრდა და მუშა ფუტკარი ახალ ბუდეზე. დელო დასდებს კვერცხებს და ნაყარი ილდგარძელებს. როფი, რომლიდგანაც გამოდენთ ფუტკრები, დაობლდება, მაგრამ როდესაც თქვენ მას მეორე ღონიერი როფის ადგილზე დასდგამთ, გაღონიერდება მისი მუშა ფუტკრით. ფუტკრები შეხედვენ, რომ დელო აღარა ჰყავს და გამოიყვანენ ახალს. მეორე როფი, სხვა ადგილზე გადატანილი, დაჭარავს თაფლის მომტან ფუტკარს, მაგრამ შიგ დაჩხება ბარტყი, ახალი ფუტკარი და დელო; მალე გაღონიერდება და თაფლის მომტანიც გაუჩნდება, მხოლოდ პირველად წყალი თუ არ შეუდგით შიგ როფში, არ იგარგებს; წყლის მომტანი ფუტკარი ჯერ-ჯერობით არ ეყოლებათ და უწყლობისა გამო ახალ ბარტყებს გამოსწოწნიან. ჭურჭელში ჩხირები ჩაჭარეთ, რომ ფუტკრები არ დაიხრჩონ და ისე შეუდგით.

ოცდაერთი დღე რომ გავიდეს, ნახეთ როფი, რომლიდგანაც გადმოდენთ ფუტკარი. მას ეყოლება ახალი გამოტეხილი დელო. წინანდელი დელოს კვერ-

ცნებიდგან უკვე გამოსული იქნებინან ყველა და ახალს კი ჯერ არ ექმნება დადებული კვერცხი. ესლა თავისუფლად შევიძლიათ გამოსჭრათ ყველა ფიჭები და როგორც თავლით, ისე სანთლით ისარგებლოთ, ხოლო ფუტკრები დედოიანად გადაიყვანოთ სხვა ჩარჩოიან ცარიელ სკაში, რომელშიდაც იქნება მიუცილებლად არა ექვსზე მეტი ფიჭიანი ჩარჩოები. ერთი ჩარჩო უნდა იქნეს ღონიერი სკიდამ გადმოტანილი დაბეჭდილი ბარტყებიანი ფიჭით. რამოდენიმე დღეში სკა გაღონიერდება, დედო დაიმამლება და დაიწყებს კვერცხის დებას. ახალ სკას საფრენი თვალი უნდა იმ ადგილასვე ექნეს, თორემ ფუტკრები დაიკარგებიან.

ამ სახით, ორი როფიდან თქვენ მიიღეთ ორი ჩარჩოიანი სკა, თავლი და სანთელი მთელი როფის და ერთიც კიდევ მთელი როფი დაგრჩათ.

ამისთანა გადაყვანა შეიძლება მარტო ღონიერი სკებიდგან, სუსტები არაფერ ხეირს მოგცემთ.

**გამრავლება.**

გამრავლება ორ ნაირია: სკის გაღონიერება ფუტკრითა და გამრავლება ოჯახების რიცხვისა. პირველი დამოკიდებულია დედოზე, რომელიც სდებს საბარტყე კვერცხებს, მეორე კი წარმოსდგება მაშინ, როდესაც სკა ბუნებით, ანუ კაცის შემწეობით იყოფება რამოდენიმე ნაწილად ისე, რომ თვითეული ნაწილი იწყებს თვით-არსებობას. თუ ესეთი ნაწილი ოჯახისა თვით, ძალდაუტანებლად დასტოვებს სკას სხვა ახალი ბინის მოსაძებნად, მას ეძახიან ბუნებით ნაყარს, თუ მეფუტკრემ გაჰყო—ხელოვნურ ნაყარს. როდესაც სკა ღონიერია და ნაყარს აღრე იძლევა, ამით მეფუტკრე თავისუფალი ხდება, მაგრამ ბუნება ჩვენს ნებაზე არ დაიარება, ხელის შეწყობა, ზოგიერთ შემთხვევაში მაინც მიუცილებელი საჭიროა, რომ დროზედ და რიგიანი ნაყრები მივიღოთ.

უჩარხო სკების ხელის შეწყობა, რომ რიგიანი ნაყრები მივიღოთ, უფრო საძნელოა მეფუტკრეობისათვის. მას შეუძლია მხოლოდ, როდესაც ამიდები გათფება, თხელი (წყლიანი) თავლის ჭმევა დაუწყოს ყოველ მესამე საღამოს. ამის შედეგი ის იქნება, რომ დედო აღრე კვერცხის დებას მოუმატებს და სკა აღრევე გაღონიერდება. თავლიან სკებს ჭმევა არ უნდათ, მხოლოდ ამისთანა სკები უნდა გახსნათ, თავლიან ფიჭებს თავები გადაფხიკოთ და თავლი გამოაჩინოთ. ამ მოქმედებას ისეთივე შედეგი ექნება, როგორიც ჭმევას.

რ. ჩინლაძე.

**ყ ჯ ს ი რ შ ჯ ბ ო უ ს ი გ რ ო ყ ჯ რ ს ი.**

**ქ ბ ჯ ი მ ე ს ი**

**ბ რ ი თ ი უ რ ო უ ჯ კ უ რ ი თ ი ჯ შ შ ჯ რ ი მ ჯ უ რ ი თ ი.**  
 1906 წ. სექტემბერი სექტემბერი 6.

**ყ ჯ ს ი რ შ ჯ ბ ო უ ს ი**

**ბ რ ი თ ი უ რ ო უ ჯ კ უ რ ი თ ი ჯ შ შ ჯ რ ი მ ჯ უ რ ი თ ი.**  
 1906 წ. სექტემბერი სექტემბერი 1.

**ყ ბ ჯ ი მ ე ს ი**

**ბ რ ი თ ი უ რ ო უ ჯ კ უ რ ი თ ი ჯ შ შ ჯ რ ი მ ჯ უ რ ი თ ი.**  
 1906 წ. სექტემბერი სექტემბერი 15.

**ყ ჯ ს ი რ შ ჯ ბ ო უ ს ი**

**ყ ჯ ს ი რ შ ჯ ბ ო უ ს ი.** მისი დასრულება უკვე ხანგრძლივად უკვე სექტემბერი სექტემბერი 1906 წ.

**ყ ჯ ს ი რ შ ჯ ბ ო უ ს ი**

**ბ რ ი თ ი უ რ ო უ ჯ კ უ რ ი თ ი ჯ შ შ ჯ რ ი მ ჯ უ რ ი თ ი.**  
 1906 წ. სექტემბერი სექტემბერი 15.

მიიღება ხელის-მოწერა 1894 წლისათვის ორ კვირულ ზამოსამათა ქართულს

# „მწუხარ“-ზე

რუსულ «П А С Т Ы Р Ь»-ზე

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელს და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და საერო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გააერცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გააერცელოს საქართველოს სამღვდელს და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ბნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელს და საეკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეკლესიო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა ზემოხსენებულის პროგრამის აღსრულების გარდა არის— 1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო «მწუხარ»-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაშორებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

## ფასი ქურნალისა:

12 თვით «მწუხარსი» 5 მ. | 6 თვით «მწუხარსი» 3 მ.  
— ,, ორივე გამოცემა 4 მ. | — ,, ორივე გამოცემა 4 მ.  
— ,, რუსული ,, 3 მ. | — ,, რუსული ,, 2 მ.

სოფლის მასწავლებელთ გაზეთები დაეთმობათ

მთელის წლით სამ მანეთად.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ყვარდალაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ზაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ყვარდალაში, აგრეთვე ქუთაისშიაც.

ზარევე მცხოვრებთა ქურნალის დაბარება შეუძლიათ ამ აღრესით: Вь Бвирилы, вь редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

სასაფლაო მეურნეობის, ეკონომიის, მრეწველობის, ჭიკაენისა და საეკტრანარო ჟურნალი

# „მეურნე“

გამოდის კვირაში ერთხელ შემდეგის პროგრამით:

- I მთავრობის განკარგულებანი მეურნეობისა და სოფლის საქმეების შესახებ.
- II სამეურნეო ეკონომია.
- III წერილები ხენა-თესვაზე, ბაღოსობაზე, მეზოსტობაზე, მევენახობაზე, საქონლის მოვლა-მოშენებაზე და საზოგადოდ ყოველგვარ სამეურნეო საქმეზე.
- IV სამეურნეო ტექნოლოგია, ხუროთ-მოძღვრება და მენაიკა.
- V ვეტერინარობა (ბეითალობა) და სოფლის ჰიგიენა.
- VI მეურნეობის ამბები და კორრესპონდენციები.
- VII განხილვა ახალთა გამოკვლევათა, გამოცდათა და აღმოჩენათა მეურნეობაში.
- VIII სამეურნეო ბიბლიოგრაფია.
- IX სოფლის ნაწარმოების ბაზრები.
- X ცნობები, თუ სად როგორი მოსავლის პირია, რა არის მუშის ფასი და სხვ.
- XI მრეწველობა, ვაჭრობა და სტატისტიკა.
- XII ნარკვევი.
- XIII კითხვა-პასუხი.
- XIV სურათები.
- XV გამოსადეგი აღრესები.
- XVI განცხადებანი.
- XVII დამატებანი, რომელშიაც დაიბეჭდება სამეურნეო თხზულებანი.

## გაზეთის ფასი:

ტფილისში: წლით 4 მანეთი || ტფილისს გარეთ: წლით 5 მ.  
ნახევარის წლით 2 მ.50 გ. || ნახევარის წლით 3 მ.

ქურნალში დაახლოებულს მონაწილეობას მიიღებენ: აგრონომები: გუნდაძე იოსები, დგებუაძე ნიკოლოზი და ნაკაშიძე ერმილე, თ—დი; ტექნიკოსი კლდამაძე ვიქტორი; ექიმები: ლარსიაფანაძე სიმონი, თ—დი და მედიცინის დოქტორი ნაზარაშვილი დიმიტრი; მეფუტკრე აპოლონ წულაძე და სხვანი. ამათის და სხვა თანამშრომლების მეზობით რედაქციას იმედი აქვს, რომ პირნათლად აღასრულებს თავის მოვალეობას.

ვისაც «მეურნის» გამოწერა სურს, უნდა მიმართოს: თბილისში «მეურნის» რედაქციას, წერაკითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას; ქუთაისში, რედაქციისა და კანტორის განყოფილებას,

ქუონიას სახლში და წიგნის მალაზიებს: ძმ. ჭილაძე-სა, ძმ. წერეთელთა და ვ. ბეჟანეიშვილისას; დაბა ყვინილაში თ. ხუსკივაძეს; ჯახაიაში დავით ლევანის ძეს ლოლობერიძეს, ოზურგეთს და ახალ-სენაკში კ. თავართქილაძის სტამბას და ბათუმში პავლე შ. ქუონიას, დამოჭინის მოხელეთა სადგომში.

გაზეთში დასაბეჭდალად განცხადება მიიღება ქართულ, რუსულ, ფრანგულ და ნემენცურ ენებზე. თითოჯერ პწყარის დაბეჭდვა პირველ გვერდზე ელირება აბაზი და უქანასკნელზედ—ორი შაური.

«მეურნე»-ში დასაბეჭდალად დანიშნული წერილები უნდა გამოიგზავნოს რედაქციისა ანუ მის ქუთათურ განყოფილების სახელობაზე. წერილები, საჭიროების დაგვირად, იქნებიან შესწორებულნი ანუ შემოკლებულნი და თუ რომელიმე წერილი რაიმე მიზეზით არ დაიბეჭდება, იმაზე მიწერ-მოწერას რედაქცია არა კისრულობს.

რედაქცია იმყოფება ტფილისში: კუკია, რეუტის ქუჩა, სახლი № 10. რედაქციისა და კანტარის განყოფილება ქუთაისში, ქუონიას სახლი.

## ი ს უ ი ლ ა ბ ი ა ნ

დეკანოზი დავით დამბაშიძისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:

თბილისში, ცენტრალურ და ბ. ხიდიკელის წიგნების მალაზიებში, ქუთაისში—«მწყემსი»-ს რედაქციის სტამბაში და ძმ. ჭილაძეების და წერეთლის წიგნების მალაზიებში და ყვინილაში—თვით გამოცემელთან.

- 1) დარიგება საღვთო სჯულის სწავლა-ბაზედ, რომელიც უწმიდესი სინოდი-საგან მოწონებულია როგორც სასწავლო სადმართო სჯულის საეკლესიო-სამრევლო და სხვა პირველ დასაწყის სკოლებში— ფასი . . . 30 კ.
- 2) იგივე დარიგება სადმართო სჯულის სწავლაზედ რუსულს და ქართულს ენაზე . . . 50 კ.
- 3) საძირკველს სამკლესირო ისტორია ფასი უდით . . . 45 კ.
- 4) მართული ლოცვანი, თვეთა მეტყველებით, ქორონიკონით და მართლმადიდებელი ეკკლ. უმთავრესი დღესასწაულების მოთხრობით. — ფასი . . . 30—
- 5) ახალი პარაბლინი, რომელიც განხილული და ნება-დართულია კავკასიის საეპიშოპოსოსაგან.— ფასი . . . 1 მან.

- 6) მღვდელთათვის საიდუმლოების შესწავლების დროს საჭირო სახელმძღვანელო წიგნი—ფასი უდით . . . 30 კ.
- 7) ახალი სასულირო კონსისტორიათა წესდებულება.— ფასი უდით . . . 40 კ.
- 8) მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, მართვალთ განმანათლებელი,— ფასი . . . 25—
- 9) გელათის მონასტარი და ცხოვრების აღწერილობა მფხის დავით აღმაშენებლისა.— ფასი . . . 25—
- 10) წმ. მოწამენი დავით და კონსტანტინე და მოწამეთის მონასტარი.— ფასი . . . 5—
- 11) წმიდანი მღვდელ-მთავარი: პასილი დიდი, გრიგორი ღვთის-მეტყველი და იოანე ოძრპირი, სუჭათებით — ფასი . . . 5—
- 12) მიქაეა უფლისა, სურათით.— ფასი . . . 2—
- 13) დიდა-მარხვის წინ, სურათით.— ფასი . . . 2—
- 14) ხარება უოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა სურათით.— ფასი . . . 2—
- 15) ბზობა სურათით—ფასი . . . 2—
- 16) აღდგომა სურათით—ფასი . . . 2—
- 17) კონსტოელი პილატოს მფხლის წმინდი . . . 2—
- 18) თამის მფხობარ ქალთან . . . 5—
- 19) მფხე სოლომონ-ბრძენი სურათით—ფ. . . 5—
- 20) ალფაა წმ. მოც. სწორის დიდის მთავრის ვლადიმირისა . . . 2—
- 21) წმიდა ნინა ქანთველთ-განმანათლებელი . . . 2—
- 22) შიდა-მღვდმის მონასტარი და ცხოვრების აღწერა დინსისა მამისა ჩვენისა შიდასი სურათით—ფასი . . . 5—
- 23) მიძინება უოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა, სურათით—ფასი . . . 2 კ.
- 24) აბაღება პატიოსნისა და ცხოველ-მფხველისა ჯვრისა უფლისა სურათით . . . 2—
- 25) ღვთის მშობლის დაბადება—სურათით . . . 2—
- 26) ტაძრად მიყვანება ღვთის-მშობლისა . . . 2—
- 27) მსთმარი სურათით.—ფასი . . . 5—
- 28) წმ. მოწამე რაშდენი—სურათით ფასი . . . 5—
- 29) ისო მისა ზირამისა სურათით . . . 5—
- 30) დაწმინდნი გაკვეთილები საღვთო სჯულის სწავლაზედ ფასი . . . 15—
- 31) ცოცხალთა და გარდაცვალებულთა მოსახსენებელი კონდაკი (კარგის უდით) . . . 30—

- 31) დარიგება მხედველობის დასკვნასა და თვალვების მოვლაზე. — ფასი . . . 10 —
  - 32) ანდრია-პირველ წოდებული ისტორიული პოემა აკაკისა. — ფასი . . . 5 —
  - 33) თამარ მეფე — სურათით . . . . . 5 —
  - 34) მეფე დავით III აღმაშენებელი . . . . . 5 —
- ვინც ზემო აღნიშნულ წიგნებს გამოაწიებს ანაწილად ნაკლებ ერთი თუმნისა, მას მანეთზე დაეთმობა 15 კ. ვინც 2 კ. წიგნაკებს დაიბარებს ანაწილად ასობისა, ის ფასტით გასაგზავნს ან ისდის.

სახელმძღვანელონი,

დაწედა აღნი აკაკი გოგებაშვილის მიერ.

დედა-მეც, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, საერო და სამრევლო სკოლებში სახმარებელი, მეცხრე შეესებული გამოცემა, დაბეჭდილი წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ამ გამოცემაში ჩართულია თავში სახატავი სურათები და ბოლოში საწერი დედანი, ასე, რომ ამ წიგნის მხმარებელთ აღარ მოუნდებათ სეიდვა არც სახატავებისა და არც დედნისა. შასი ისევე ექვსი შაურია, ყდით ორი აბაზი. მს წიგნი მოწონებულია და შართულის ენის სახელმძღვანელოდ დანიშნული განათლების სამინისტროს მიერ და უწმიდესს სინოდისაგან... შინც ერთად იყიდის ოც და ათსან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურათ, ყდით 33 კაპ.

გუნების კარი, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასში სახმარებელი, მეშვიდე გამოცემა, შემკული სურათებით და საქართველოს ქარტით, დაბეჭდილია წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. შასი ყდით ოთხი-აბაზ უზალბუნი (90 კაპ.). უყლოთ ეს გამოცემა არ ისეიდება. შინც ერთად იყიდის ათს ცალსა, წიგნი დაეთმობა ოთხ აბაზად, ვინც ოცსა — თუთხმეტ შაურად და ვინც ოც-და-ათსა — თოთხმეტ შაურად. მს წიგნიც მოწონებულია სამინისტროსაგან, როგორც „მშენიერი სახელმძღვანელო შართულის ენისა“ და აგრეთვე უწმიდესი სინოდისაგან.

კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, გამოცემა მეშვიდე, ფასი ორი შაური; ნარდათ 8 კაპეიკი.

კონე საყმაწვილო მოთხრობათა ბუნების მეცნიერებიდგან, მესამე გამოცემა, სურათებიანი, ფასი ათი შაური, ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალსა, ცხრა შაურად მიეცემა წიგნი, ვინც ოცსა, ორ აბაზათ. წიგნი მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგანა.

ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება მოზრდილ ყრმათათვის, მეორე გამოცემა, ფასი ექვსი შაური. მოწონებულია სამინისტროსა და სინოდისაგან.

კუნწულე, ანუ საყმაწვილო მოთხრობანი, ფასი ორი აბაზი. მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგან.

იანანამ რა ჰქმნა? მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის, ფასი ორი შაური.

ხატი მხიმი? საყმაწვილო მოთხრობა, ფასი ერთი შაური.

ასკინის მხი საყმაწვილო მოთხრობა მეფე პრეკლეს სურათით და ქარტით, ფასი ორი შაური.

პირითადი უკუღმართობა, პუბლიცისტური წერილი დედა-ენის მნიშვნელობის შესახებ კრძო აღამიანის და მთელის ერის ცხოვრებასა და წარმატებაში, ფასი ერთი აბაზი...

РУССКОЕ СЛОВО, часть первая, издание четвертое цѣна тридцать копеекъ, въ переплетѣ 40 копеекъ.

РУССКОЕ СЛОВО, часть вторая, издание третье, цѣна 40 копеекъ. Въ переплетѣ 50 коп.

РУКОВОДСТВО для учащихся къ преподаванію русскаго языка по „Русскому Слову“, цѣна 50 коп.

Обѣ части «Русскаго Слова» одобрены въ качествѣ учебнаго руководства по русскому языку для грузинскихъ школѣ, а «Руководство для учащихся» одобрено для библиотекъ низшихъ и среднихъ учебныхъ заведеній всего Кавказскаго учебнаго округа, и то и другое одобрено учебнымъ Начальствомъ, съ утверждениа Господина Главнотачальствующаго. (Смотри „Сборникъ“ распоряженій по управленію Кавказскимъ Учебнымъ округомъ стран. 1965 и 1967).

Равнымъ образомъ одобрено и рекомендовано Русское Слово» духовнымъ учебнымъ Начальствомъ.

(15—5)